საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ავტომატმრეწვი“

„ავტომატმრეწვი“, სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება, რ-ის შემადგენლობაში შედიოდა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი და საცდელი ქ-ნა. შეიქმნა 1956 ქ. რუსთავში. „ა.“ ატარებდა სამეცნ.-კვლ. სამუშაოებს ავტომატიზაციის საშუალებათა და სისტემების აგების ახ. პრინციპების შესაქმნელად; ამუშავებდა და ამზადებდა ავტომატიზაციის არასტანდ. საშუალებათა საცდელ პარტიებს; საწარმოებს კომპლექსურად აწვდიდა მართვის ავტომატიზებულ სისტემებს; ასრულებდა მართვის სისტემებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა აწყობისა და გამართვის საშეფო სამუშაოებს. მის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე მართვის ავტომატიზებული სისტემების ტექ. და პროგრამული დოკუმენტაციის დამუშავება და დანერგილი სისტემების საგარანტიო და ტექ. მომსახურება. ამჟამად გაერთიანება აღარ ფუნქციონირებს.